ლევან კიტია

კინორეჟისორი. სცენარისტი. პროდუსერი.

ამჟამად – საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის რეჟისორი.

წლების განმავლობაში, სხვადასხვა დროს ეწეოდა და ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას სახელობის უნივერსიტეტში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გადაღებული აქვს საერთაშორისო ფესტივალებზე პრემირებული მხატვრული ფილმები „ტრასა“(საქართველოს ტელეფილმების სტუდია,1988) და „გზაჯვარედინი“(კინოსტუდია „ქართული–ფილმი“,1991). აგრეთვე სატელევიზიო სერიალები „ყავა და ლუდი“ (ტელეკომპანია „იმედი“, 2004 და 2007 წლის სეზონები), „მუხტარის დაბრუნება–2“ (სტუდია Pro-TV, უკრაინა; ტელეკომპანიისათვის HTB, 2005 წლის სეზონის ცალკეული სერიები), „ალი და თეო“(ტელეკომპანია Lider-TV, აზერბაიჯანი; 2014), „სიცოცხლის ყვავილი“(სტუდია Ultra Production, ტელეკომპანიისათვის ATV, აზერბაიჯანი).

2001–2003 წლებში მუშაობდა სარეკლამო კომპანიაში „AMI“ კრეატიულ დირექტორად. არის რიგი სარეკლამო კამპანიების ავტორი. როგორც რეჟისორს გადაღებული აქვს სარეკლამო რგოლები თბილისში, კიევში, ბაქოსა და მოსკოვში.

მუშაობდა ტელეკომპანია „იმედში“ მიმართულების პროდუსერად (2002–2005), სამხატვრო ხელმძღვანელად საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის სტუდიაში „დღე“(1996–1999). განხორციელებული აქვს რიგი სატელევიზიო პროექტები სხვაგასხვა ქართული ტელეარხებისთვის.

1988 წლიდან არის კინოსტუდია „ქართული–ფილმის“ რეჟისორი, სადაც მუშაობა დაიწყო 1984 წელს მწერალთა შემოქმედებით გაერთიანებაში სცენარისტ–სტაჟორად.

დამთავრებული აქვს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტი(1988). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფია და საერთაშორისო ურთიერთობები(1980). აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის ინსტიტუტის ასპირანტურა(1983).